ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 34

"15" თებერვალი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.030.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.030.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 თებერვლის №22.100.114 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.030.001) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა N8 (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.001)

N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინი ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ასმათი ტურავა	58001025839	სართული 1	62.73	01.11.05.030.001.01.503
2	დიანა ღვინერია	37001033332	სართული 3	38.65	01.11.05.030.001.01.506
3	ეკატერინე გაბედავა	48001002755	სართული 3	64.76	01.11.05.030.001.01.500
4	თამარ წულაია	29001017802	სართული 3	31.51	01.11.05.030.001.01.505
5	ნათელა გრძელიძე	01001073819	სართული 3	66.48	01.11.05.030.001.01.502
6	რიტა ჯიქია - ჭურღულია	19001018504	სართული 1	56.38	01.11.05.030.001.01.501
7	სოფიო წულაია	29001006754	სართული 3	51.84	01.11.05.030.001.01.504